s a q a r T v e l o
Coxatauris municipalitetis sakrebulo

Coxatauri wereTlis q. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #29

7 თებერვალი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე ნაძვის ხის ხანძრის შედეგად განადგურებული, ქონების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ხანძრის აქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 13 იანვრის #20 ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისიის 2012 წლის 16 იანვრის აქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეიქმნას საინვენტარიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - მალხაზი დოლიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი –კომისიის თავმჯდომარე;
   - ზურაბ შათირიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი – წევრი;
   - პაატა ბერიშვილი – მუნიციპალტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში – წევრი;
   - გოდერძი გათაშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის

სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში– წევრი;

- გოგი ბოლქვაძე – გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი– წევრი;
- გიორგი სიმონია–მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი მიწის მართვის საკითხებში.

2. დაევალოს კომისიას 2012 წლის 04 იანვარს დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე საახალწლო ნაძვის ხის ხანძრის შედეგად განადგურებული ქონების (იხ. დანართი) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან ჩამოწერის თაობაზე შესაბამის დოკუმენტაციის წარმოდგენა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. #4
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*